ოქმი:**ო63. 6324026001**
თარიღი:**26/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. სამტრედია. 16 იანვარი, 2024 წელი.

2024 წლის 16 იანვარს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 იანვრის*** N : 62-622401531 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

   კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოგზავნილი N 62-6223342137 (08/12/2023) წერილის ნაცვლად, საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე, განხილული და დამტკიცებული იქნა N 62-622331975 (15/11/2023) წერილობითი მომართვით გადმოგზავნილი განკარგულების პროექტი, ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ''. რის გამოც, საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

(მომართვის N : 62-622401531 , 15/01/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:11-6324015001-63, 15/01/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად ერთობლივად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 დეკემბრის*** N :62-6223359119 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის, საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხს. კერძოდ, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შედეგად, არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა. მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს, საკრებულომ განიხილოს და დაამტკიცოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე''.

(მომართვის N :62-6223359119 , 25/12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233596-63, 25/12/2023** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

3. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 დეკემბრის*** N : 62-6223362113 წერილობითი მომართვა, საიდანაც ირკვევა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა მერის წარმომადგენლის მ/შ ხაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიმიტრი კაკაბაძის, 2023 წლის 12 დეკემბრის N:01-6223346123 მოხსენებითი ბარათი. საკითხი ეხება სოფელ ჩხენიშში მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო განცხადების განხილვას. კერძოდ, განმცხადებლები ითოვენ, სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლისათვის, მსოფლიოში გამოჩენილი მათემატიკოსის, სოფელ ჩხენიშში დაბადებული ანდრია რაზმაძის, სახელის მინიჭებას. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხის შემდგომი განხილვა მოხდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ.

(მომართვის N : 62-6223362113 , 28/12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის**N:12-632336210-63, 28/12/2023** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

4. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 იანვრის*** N : 62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერიის 7 სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. კერძოდ:

1. ადმინისტრაციული სამსახური.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

4. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

5. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

6. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახური.

7. ზედამხედველობის სამსახური.

(მომართვის N : 62-622401615, 16/01/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6324016001-63, 16/01/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიებად დარგობრივად განისაზღვრა: საფინანსო-საბიუჯეტო; ინფრასტრუქტურის; იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამახდატო; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი